სარეკლამო აქციის „Visa - Digital Wallet“ ჩატარების წესები

საქართველოს ტერიტორიაზე სს “პროკრედიტ ბანკის” მიერ გამოშვებული Visa ბარათების გამოყენების აქტივობის გაზრდაზე მიმართული სარეკლამო აქციის “Visa - Digital Wallet“ ჩატარების წესები (შემდგომში მოხსენიებული, როგორც “წესები”) განსაზღვრავს სარეკლამო აქციის „Visa - Digital Wallet“ ჩატარების თანმიმდევრობას (შემდგომში მოხსენიებული, როგორც “სარეკლამო აქცია”).

1. **სარეკლამო აქციის ორგანიზატორი და დამკვეთი.**

   1.1. სარეკლამო აქციის დამკვეთი - სს “პროკრედიტ ბანკი”.

2. **სარეკლამო აქციის დასახელება.**

   2.1. სარეკლამო აქციის დასახელებაა „Visa - Digital Wallet“

3. **სარეკლამო აქციის მიზანი:**

   3.1. სარეკლამო აქციის მიზანია სს “პროკრედიტ ბანკის“ Visa ბარათების ციფრული საფულით (Apple Pay) გადახდების წახალისება.

4. **სარეკლამო აქციის მონაწილე:**

   4.1. სარეკლამო აქციის მონაწილე შეიძლება იყოს სრულწლოვანი მოქალაქე, რომელიც არის სს „პროკრედიტ ბანკის“ მიერ გაცემული Visa ბარათის მფლობელი და სარეკლამო აქციის პერიოდში Apple Pay ციფრული საფულის გამოყენებით Visa classic ბარათით განახორციელებს მინიმუმ 50 ლარის საბარათე ტრანზაქციას POS ტერმინალებში, ან Visa Business ბარათით მინიმუმ 100 ლარის ოდენობის საბარათე ტრანზაქციას POS ტერმინალებში, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

5. **წინამდებარე აქციაში მონაწილეობით, სარეკლამო აქციის მონაწილე სრულად ეთანხმება სარეკლამო აქციის წესებსა და პირობებს.**

6. **სარეკლამო აქციაში მონაწილეობის უფლება არ აქვს:**

   6.1 პირს, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ამ დოკუმენტით დადგენილ პირობებს;

   6.2 უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და მოქალაქეობის არ მქონე პირებს;

   6.3 უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ საქართველოს ტერიტორიაზე;

6.4 პირს, რომელიც სარეკლამო აქციის დაწყების მომენტისთვის არასრულწლოვანია;

6.5 პირს, რომელსაც შრომითი ურთიერთობა აკავშირებს სს „პროკრედიტ ბანკთან“, ასევე აღნიშნული პირის მეუღლეს, და/ან ახლო ნათესავებს;

6.6 საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პირებს, რომელთაც ეკრძალებათ სარეკლამო აქციაში მონაწილეობის მიღება.

7. სარეკლამო აქციის ჩატარებისა და ტრანზაქციების ასახვის პერიოდი: 2023 წლის 14 სექტმებრის 00:00:01 საათიდან 14 ოქტომბრის 23:59:59 საათის ჩათვლით პერიოდი.

8. სარეკლამო აქციის საპრიზო ფონდი:

ბარათის ტიპი	პრიზის სახეობა	რაოდენობა
Visa classic	25 ლარიანი cash-back	250
Visa Business	მოსაწვევი ღონისძიებაზე - Business Insights: Navigating the Future	250

- ორგანიზატორი იტოვებს უფლებას ჩაანაცვლოს/ შეცვალოს საპრიზო ფონდი, საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვროს პრიზების ღირებულება და რაოდენობა, ან დაამატოს პრიზები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ პირობებით.

9. სარეკლამო აქციაში მონაწილეობის წესი

9.1. სარეკლამო აქციაში ავტომატურაც ჩაერთვებიან სს „პროკრედიტ ბანკის“ Visa ბარათის მფლობელები, რომლებიც აქციის პერიოდში Apple Pay-ის ციფრული საფულესგამოყენებით შეასრულებენ საბარათე ოპერაციების სავაჭრო და/ან მომსახურების ობიექტებში.

9.2. სარეკლამო აქციაში მონაწილეობას მიიღებენ ტრანზაქციები, რომლებიც უკვე ასახულია მიმდინარე ანგარიშზე (ანგარიშებზე) და ფიქსირდება საბანკო ამონაწერში.

9.3. სარეკლამო აქციის ფარგლებში შესრულებულ ტრანზაქციებში იგულისხმება: სს „პროკრედიტ ბანკის“ მიერ გაცემული Visa classic და/ან Visa Business ბარათის მფლობელების მიერ Apple Pay-ის ციფრული საფულის გამოყენებით შესრულებული ოპერაციები არანაკლებ 50 ლარის ოდენობის ტრანზაქციისა Visa Classic ბარათისათვის და არანაკლებ 100 ლარის ტრანზაქციისა Visa Business ბარათის შემთხვევაში (ან მისი ექვივალენტი, გადახდის მომენტში არსებული ეროვნული ბანკის კურსით), სარეკლამო აქციაში ავტომატურად მონაწილეობს წინამდებარე აქციის დაწყებამდე, და აქციის

განმავლობაში გაცემული Visa ბარათები.

9.4. აქციაში მონაწილეობის გაუქმება შესაძლებელია ინტერნეტ ბანკინგით შეტყობინების გამოგზავნის საფუძველზე ტექსტით „არ მსურს სარეკლამო აქციაში მონაწილეობის მიღება“.

9.5. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გადახდა დაითვლება ოპერაციის თარიღში (ამონაწერში ასახვის დრო) არსებული ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსის მიხედვით.

10. სარეკლამო აქციაში არ მონაწილეობს:

10.1 ტრანზაქციები, რომელთა გაუქმება ან დაბრუნება მოხდება სარეკლამო აქციის პერიოდში;

10.2 Visa classic/ Visa Business-ით Apple Pay-ით შესრულებული მეორე და შემდგომი გადახდები

10.3 პოს ტერმინალით თანხის განაღდება;

10.4 ონლაინ გადახდები;

10.5 ბანკომატიდან თანხის გატანა/შეტანა;

10.6 უნაღდო ოპერაციების ჩატარება ფულადი სახსრების გადარიცხვის გზით ბარათიდან ბარათზე;

10.7 შიდაოპერაციები საკუთარ ბარათებზე სს „პროკრედიტ ბანკის“ ინტერნეტ ბანკის სისტემებში;

10.8 კომუნალური გადასახადებისათვის შესრულებული ტრანზაქციები

10.9 გადახდები აზარტული თამაშებისათვის/ლატარიისთვის; გაცნობითი სერვისებისთვის; საქველმოქმედო ორგანიზაციისთვის; გადასახადის გადახდებისთვის/ტენდერებისთვის.;

10.10 ნებისმიერი სხვა უკანონო ტრანზაქცია.

11 სარეკლამო აქციაში გამარჯვებულების განსაზღვრის მექანიზმი:

11.1 სარეკლამო აქციის გამარჯვებულები გახდებიან ბარათის მფლობელი ის ფიზიკური პირები, რომლებიც სს „პროკრედიტ ბანკის“ Visa classic ბარათის საშუალებით Apple Pay-ის ციფრული საფულის გამოყენებით განახორციელებენ მინიმუმ 50 ლარის ოდენობით ანგარიშწორებას პოს ტერმინალებზე და მოხვდებიან პირველ 250-ს შორის; ასევე ბარათის მფლობელი ის იურიდიული პირები, რომლებიც სს „პროკრედიტ ბანკის“ Visa business ბარათის საშუალებით, Apple Pay-ის ციფრული საფულის გამოყენებით განახორციელებენ მინიმუმ 100 ლარის ოდენობით ანგარიშსწორებას, პოს ტერმინალებზე და მოხვდებიან პირველ 250-ს შორის.

11.2 სარეკლამო აქციის ფარგლებში გამარჯვებული პირველი 250 ფიზიკურ პირს, , სს „პროკრედიტ ბანკში“ გახსნილ მიმდინარე ანგარიშზე დაერიცხებათ cash-back-ი 25 ლარის ოდენობით, ხოლო სარეკლამო აქციის ფარგლებში გამარჯვებულ პირველი 250 იურიდიული პირს, გადაეცემათ დამკვეთის მიერ წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრულიმოსაწვევები.

11.3

11.4 გამარჯვებულების გამოვლენის დრო:

11.5 სარეკლამო აქციის ფარგლებში გამარჯვებული გამოვლინდება ტრანზაქციის შესრულების შემდგომ, აღნიშნულის თაობაზე მომხმარებელისათვის გაგზავნილი შეტყობინებით.

11.6

11.7 გამარჯვებულების გამოვლენა ხდება დროში ყველაზე ადრე (სხვა მონაწილეებთან შედარებით დროში ყველაზე პირველი) გადახდის დაფიქსირების მიხედვით.

11.8 სულ გამოვლინდება 500 გამარჯვებული, 250 ფიზიკური პირი და 250 იურიდიული პირი.

11.9 ბანკს შეუძლია საკუთარი შეხედულებისამებრ გამორიცხოს მონაწილე იმ შემთხვევაში, თუ გაჩნდება ეჭვი აქციის წესების არაკეთილსინდისიერი შესრულების ან კამპანიის წესების გამიზნული დარღვევის ფაქტის შესახებ მონაწილის მხრიდან.

11.10 ბანკს შეუძლია საკუთარი შეხედულებისამებრ დამატებით განსაზღვროს გამარჯვებულ(ებ)ი.

11.11 სარეკლამო აქციაში არ მონაწილეობენ ტრანზაქციები, რომელთა გაუქმება ან დაბრუნება შესაძლებელია, ხოლო ბანკი მიიღებს შესაბამის შეტყობინებას ამის შესახებ.

12 პრიზების მიღების პირობები და გამარჯვებულთა ინფორმირება:

12.1 სს „პროკრედიტ ბანკის“ მიერ მომხმარებელთან შეთანხმებულ საკომუნიკაციო არხსი საშუელებით მოხდება გამარჯვებულების ინფორმირება. სარეკლამო აქციის გამარჯვებული შესაბამისი საბარათე ტრანზაქციის/გადახდის შესრულებისას, თანხის ჩამოჭრის დროს მიიღებს საინფორმაციო ხასიათის შეტყობინებას აქციაში გამარჯვებასთან დაკავშირებით.

12.2 Visa classic ბარათის მფლობელი სარეკლამო აქციის მონაწილე გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში, გამარჯვებულს დაუბრუნდება 25 ლარის ოდენობის cash-back-ი, ანგარიშიდან თანხის ჩამოჭრის დღეს, რის შესახებაც მიიღებენ საინფორმაციო შეტყობინებას, ან შეტყობინების მიღებიდან მომდევნო სამუშაო დღეს, ხოლო Visa Business ბარათის მფლობელი სარეკლამო აქციის მონაწილე გამარჯვებულს თანხის ჩამოჭრიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღეს გაეგზავნება საინფორმაციო სახის შეტყობინებას - მოსაწვევის მიღების თაობაზე, რომელიც გადაეცემა არაუგვიანეს შეტყობინების მიეღებიდან არაუგვიანეს 2023 წლის 31 ოქტომბრისა.

12.3 ტრანზაქციის დაბრუნების ან მომხმარებლის მიერ გაუქმების შემთხვევაში, ბანკს აქვს უფლება დაიბრუნოს cash-back-ის სახით გადახდილი თანხა.

12.4 ორგანიზატორი უფლებამოსილია მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენა პრიზის მიღების მიზნით.

12.5 არასრული / არაზუსტი დოკუმენტების წარმოდგენა ან დოკუმენტების მიუწოდებლობა შესაბამის ვადებში ან რაიმე სახის ეჭვის შემთხვევაში დოკუმენტების სანდოობასთან დაკავშირებით, გამარჯვებული კარგავს გამარჯვებულის სტატუსს.

12.6 იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებულები არ მიიღებენ საჩუქრებს სარეკლამო კამპანიის წესებით დადგენილ ვადებში, ან იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებულებთან დაკავშირება და მოგების შესახებ შეტყობინება და/ან მათთვის პრიზის გაცემა შეუძლებელია მათ შესახებ არსებული არასწორი მონაცემების გამო, გამარჯვებულის საკონტაქტო მონაცემების შეცვლის ან გამარჯვებულის მიერ საჩუქრის მიღებაზე უარის თქმის, ასევე გამარჯვებულის მიერ წესებით დადგენილი საჭირო ინფორმაციის მიწოდებაზე უარის თქმის გამო, ან ორგანიზატორისგან დამოუკიდებელი ნებისმიერი სხვა მიზეზით, საჩუქარი დარჩება ორგანიზატორთან.

12.7 პრიზის ღირებულების ფულადი ეკვივალენტის გადახდა ან ჩანაცვლება სხვა პრიზით არ დაიშვება. ორგანიზატორის პასუხისმგებლობა პრიზების გაცემასთან დაკავშირებით იზღუდება ექსკლუზიურად ამ პრიზების ზემოთ მითითებული რაოდენობითა და სახეობი

12.8 მონაწილე, აქციის წესების დარღვევის შემთხვევაში, ავტომატურად კარგავს აქციაში მონაწილეობის უფლებას. გარდა ამისა, მონაწილე არ არის უფლებამოსილი მოითხოვოს ორგანიზატორისგან მესამე პირისგან ნებისმიერი სახის კომპენსაცია.

13 **კონფიდენციალურობა**

13.1 აქციის მიზნებისთვის, სს „პროკრედიტ ბანკი“ უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დამუშავებას ბანკის მიერ შემუშავებული და საბანკო მომსახურების პირობებში გათვალისწინებული შესაბამისი წესების მიხედვით, რომელიც ხელმისაწვდომია ბანკის ვებ-გვერდზე: www.procreditbank.ge

13.2 ორგანიზატორი, აქციის მიზნებისთვის, პერსონალურ მონაცემთა (პასპორტის ასლი, სახელი, გვარი, მისამართი, ელ-ფოსტა და ტელეფონის ნომერი) დამუშავებას მოახდენს პერსონალური მონაცემების დაცვის კანონის შესაბამისად.

აქციის ფარგლებში შეგროვებულ ნებისმიერი სახის პირად მონაცემებს ორგანიზატორი გამოიყენებენ მხოლოდ აქციის ჩატარების მიზნით, კერძოდ, გამარჯვებულების გამოსავლენად და მისთვის პრიზის გადასაცემად.

ბანკს ნებისმიერ დროს საკუთარი შეხედულებისამებრ შეუძლია განსაზღვროს კამპანიის დამატებითი პირობები, რომელთა შესახებ ინფორმაციას განათავსებს კამპანიის ვებ-გვერდზე: www.procreditbank.ge და/ან აცნობებს აქციის მონაწილეს ინტერნეტ ბანკინგით.

სარეკლამო აქციის ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე დაგვიკავშირდით: +995 32 2202222